

მცირე შენიშვნები ქართულ ლექსიკასა და
ლიტერატურულ ენაზე*

ორიოდე სიტყვა ლექსიკაზე. ქართული ლიტერატურული ენის ლექსიკა ძალიან მდიდარია. ცნობილ ქართულ განმარტებით ლექსიკონში შეტანილია 113 ათასამდე სიტყვა, განმარტებული კი იყო 118 ათასი. ლექსიკონში განზრახ, შეგნებულად გამოტოვებულია ვიწრო სპეციალური ტერმინები, ბევრი ნაწარმოები თუ კუთხური და ძველი სიტყვა. არსებული ლექსიკონების მიხედვით შედგენილ სიტყვანში 200 ათასზე მეტი ლექსიკური ერთეული მოგროვდა.

ეს სიტყვობრივი სიმდიდრე შესაძლებლობას იძლევა, რომ ყოველგვარი აზრი, მისი ნიუანსიც კი გამოვთქვათ შესაფერისი სიტყვებით, ყველა დარგისა თუ ჟანრის ნაწარმოები ვთარგმნოთ სხვადასხვა ენიდან, იქნება ეს ნაწარმოები ფილოსოფიური, ბუნებისმეტყველებისა, მხატვრული თუ სხვა ხასიათისა, თანაც შეგვიძლია ამა თუ იმ აზრის გადმოსაცემად სიტყვები შევარჩიოთ ან სინონიმები დავუძებნოთ.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ენას მწერალი ქმნისო. ეს უნდა გავიგოთ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ გადატანით. ხალხის მიერ შექმნილ ენას ხელახლა შექმნა არ სჭირდება. მაგრამ უფლება გვაქვს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ენას ამდიდრებენ და ზოგჯერ ორიენტაციას, მიმარ-

* ახლანან მთელმა ქართველმა ხალხმა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნა ჩვენი სახელოვანი ენათმეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვარლამ თოფურიას დაბადების ოთხმოცი წელი. ვარლამ თოფურიას დამსახურება ქართული და, საერთოდ, ქართველური ენების შესწავლის საქმეში განუზომელია. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციის, მოვლისა და სიწმინდის დაცვის მხრივ. ეს წერილიც, რომელსაც აქ ვებეჭდავთ, ერთი უკანასკნელი იმათ შორის, რაც ვარლამ თოფურიას დაუწერია. იგი 1966 წელს დაიბეჭდა ჟურნალის „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ პირველ — აპრილ-მაის-ივნისის — ნომერში, აგვისტოში კი მისი ავტორი უკვე გარდაცვლილი იყო.

რედაქციამ გადაწყვიტა უმნიშვნელო შემოკლებით ხელახლა დაბეჭდა ეს წერილი, როგორც ნიმუში ავტორის მუდმივი ზრუნვისა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების მოგვარებისათვის. მკითხველი ადვილად დაერწმუნდება, რომ ამ წერილში აღძრული ზოგი საკითხი დღესაც აქტუალურია. რედ.

თულებას აძლევენ, უწინარეს ყოვლისა, მწერლები, მათ გარდა ენას ამ-
დიდრებენ მეცნიერები და, საერთოდ, წიგნის ავტორები.

ენის ლექსიკის გასამდიდრებლად სხვადასხვა წყარო არსებობს: მათ
შორის მთავარია ხალხური მეტყველება, კუთხური, დიალექტური ენა.
ეს წყარო დაუშრობელია, მუდმივ მდინარე და თავანკარა სიტყვების მომ-
ცემი. აქედან იღებენ სხვადასხვა ცნების, საგნის, მოქმედების გამომხატ-
ველ სიტყვებს. არსებობს სხვა წყაროებიც. ესაა ჰაგიოგრაფიული, ის-
ტორიული, მხატვრული თუ სხვა დარგის ადრინდელი, საყოველთაოდ
ცნობილი, V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე არსებული ლიტერატურა
(ხანძთელის ცხოვრება, ვეფხისტყაოსანი, „ვისრამიანი“, საბას იგავ-არაკე-
ბი, „დავითიანი“ და სხვა მრავალი), საიდანაც ჩანს ქართული ენის სიტ-
ყვიერი მრავალფეროვნება და სიმდიდრე. ამ წყაროებთან ერთად მოქმე-
დებს ახალ სიტყვათა წარმოქმნა, სხვა ენიდან სესხება და სხვ.

მწერლები სიტყვათა მარაგით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან,
ზოგს საერთო ლიტერატურული ლექსიკის გარდა შემოტანილი აქვს ბევ-
რი კუთხური, ნასესხები თუ საკუთარი წარმონაქმნი სიტყვა. ზოგი მწე-
რალი ცდილობს იხმაროს რაც შეიძლება მეტი სიტყვა და ამისათვის ყვე-
ლა წყაროს იყენებს, ზოგიც სიტყვებს არჩევს, შეგნებულად, დაფასების
თვალსაზრისით უდგება მათ და ამიტომ მისი ლექსიკა შემოფარგლულია,
განსაზღვრულია. თვით მწერლები აღნიშნავენ ამას. ზოგიერთ სახელოვან
მწერალს ესა თუ ის სიტყვა გაცვეთილად, გამოფიტულად, ბლაგვად მია-
ჩნია და უკუაუდგებს, ზოგი კიდევ სიტყვას თითქოს ფიზიკურად განიცდის,
ყნოსვით იგებს, რომელ „სიტყვას უდგას სისხლი, რომელია უსისხლო,
მომჰკნარი“. ასეთ სიტყვებს იგი არ ხმარობს თავის ნაწარმოებებში. ამი-
სათვის მას ათასნაირი მოსაზრება ამოძრავებს. სიტყვის ძიებისა, შერჩე-
ვისა და თავის ადგილას გამოყენებისათვის იღვწოდა ჩვენი შესანიშნა-
ვი პოეტი ი. გრიშაშვილი. მან თავისი აზრი ლექსად გამოხატა:

„ორმოცისა ვარ... მაგრამ რომ ვიყო
ორჯერ ორმოცის... მაინც ვიბრძოლებ
ქართული სიტყვის ჩუქურთმისათვის“ (ტ. II, გვ. 49).

ასეთი ბრძოლა, სიტყვისადმი ამგვარი მიდგომა, მართალია, სუბი-
ექტურია, მაგრამ მნიშვნელოვანია და არსებითი არა მარტო მხატვრული
ლიტერატურის ენისათვის. უნდა ითქვას, რომ ზოგი მწერალი ბევრს მუ-
შაობს ენაზე, ხალხში სწავლობს, ბევრ ლიტერატურას კითხულობს. ამას
თვითონაც აღნიშნავს, ეს მის ნაწარმოებებშიც ჩანს. აბა, სიტყვათა რაო-
დენი სიუხვე და ბარაქა იგრძნობა ი. გრიშაშვილის ლექსის ამ მცირე
ნაწყვეტში:

...რა ვქნა, სოფელი არ დამივლია,
სოფელი თავის ყ ი ს მ ა თ ს მინებდა.

გინახავთ კოჭლი ქალის ქ ე ვ ქ ე ვ ი
და სიარული სულ სხვანაირი?
ასეთი იყო იმ სოფლის ხევი —
ჩემი ე მ ბ ა ზ ი და ჯ ა ზ ა ი რ ი .

მართალია, არის შემთხვევები, როცა მწერალს თავის შემოტანილად მიაჩნია ესა თუ ის სიტყვა ქართულ სალიტერატურო ენაში, მაგალითად: „საქრეთელი“, „ხანძარი“, „მოოქროვილი“ და სხვა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს სიტყვები ცნობილია საბასა და ნიკო და დავით ჩუბინი-შვილების ლექსიკონებში, ხალხურ ენაში. ამდენად შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მათ ხმარებაზე და არა პირველად შემოტანაზე.

მეცნიერებიც ამდიდრებენ ლიტერატურულ ენას. მათ შემოაქვთ ახალ-ახალი ტერმინები და გამოთქმები. მარტო ივანე ჯავახიშვილის მრავალ ფუძემდებელ შრომაში ათასობით ახალი ტერმინი და სიტყვაა გამოყენებული და გააქტიურებული. ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ბევრი კუთხური სიტყვაა გადაქცეული საერთო ლიტერატურულ სიტყვებად, ბევრიც წარმოქმნილია ქართული ენის სიტყვაწარმოების წესების გამოყენებით და დამკვიდრებულია საყოველთაო სახმარად. დღეს, აბა, ვინ იფიქრებს, რომ ათი, ოცი, 30 თუ 45 და ცოტა მეტი წლის ისტორია აქვს სიტყვებს, როგორცაა: შვებულება, საშვები, ქვეითი ჯარი, გემბანი, მფრინავი, წყალბადი, ნახშირბადი, ნათურა, დენი, ასანთი, საწარმო და სხვა მრავალი.

არ არსებობს ენა (ორიოდეს გამოკლებით), რომ იგი წმინდა, შეურეველი, სხვა ენის გავლენისაგან თავისუფალი იყოს. დღეს ისეთი ენებიც კი, როგორცაა გერმანული და სომხური, რომლებიც გაუბრბოდნენ სხვა ენისაგან სიტყვის სესხებას და საკუთარი რესურსებით, ახალწარმოქმნილი სიტყვებით კმაყოფილდებოდნენ, ამჟამად ბლომად იყენებენ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის, ჩვენი წყობილების ამსახველ საერთაშორისო სიტყვებს.

მაგრამ სესხებაცაა და სესხებაც. თუ საკუთარ ენაში მოგვეპოვება ცნების, საგნის, მოქმედების გამომხატველი სიტყვა, მაშინ სხვა ენის ლექსიკის სესხება და გამოყენება სრულებით ზედმეტია, უფრო მეტიც: ეს მშობლიური ენის შეუფასებლობა და უპატივცემლობაა, დამახინჯება და წარყვანა, ან უკეთ, როგორც ილია ჭავჭავაძე წერდა, „ენის სრული უპატიობა და სიძულვილი“.

სამწუხაროდ, ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში წარამარა ხმარობენ დახლის მუშაკები, ნაწილი დიასახლისებისა და ჩვენი ახალგაზრდობისა სასკოლო ინვენტარის, საოჯახო ნივთებისა და კვების პროდუქტების, საჭმელ-სასმელის სახელებს რუსულად, ზოგჯერ სპარსულად თუ თურქულად, მაშინ როცა შესაბამისი სიტყვები გვაქვს საკუთარ ენაში. არაქართულია „პარტა, ავტორუჩკა“... ასევე საჭმელების სახელები:

„ბუღკვი, სლოიკა, პიროგი, სუხარი, სმეტანა, ბიტკი“ და სხვა. თუ „ლო-
ზიანი მჭადი“ (ე. ი. ლობიოჩართული მჭადი) ხალხურია, რატომ არ შე-
იძლება ვიხმართ „სირნიკ“-ის ნაცვლად ყველიანი, ... „ტვოროჟნიკ“-ის
მაგიერ — ხაჭოიანი, „მალინა“-ს, „სმოროდინა“-ს ადგილას ვიხმართ
ჟოლო, მოცხარი; „გორჩიცა“-ს ნაცვლად — მდოგვი... ჩოთქის (щетка)
შესატყვისად ჯაგრისი, „კრესლო“-სი — სავარძელი, „სკამეიკა“-სი —
გრძელი სკამი, „ვეშალკა“-ს მაგიერად საკიდარი, კაჩხა ან კაჩო და სხვა
მრავალი. საჭიროა შეგროვდეს ყველა კუთხეში ყოფა-ცხოვრების სხვადა-
სხვა დარგის სიტყვები, მათგან შეირჩეს ყველაზე უფრო გავრცელებუ-
ლი და ადვილმოსახმარი და მასობრივად გამოიცეს რუსულ-ქართული და
ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომ ყველა მაღაზია და მომხმარებელი
იყენებდეს მას. ისიც სასურველია, რომ მწერლებმა თავიანთ ნაწარმოე-
ბებს დაურთონ გაუგებარ სიტყვათა ლექსიკონი, როგორც ამას სჩადიოდ-
ნენ რედაქციები და გაზეთებში დაბეჭდილ ნაწარმოებთა ავტორები, ან
კიდევ როგორც ახლა ურთავს თავის თხზულებებს ზოგი სახელმოხვეჭი-
ლი მწერალი (მაგალითად, კ. გამსახურდია).

ორიოდე სიტყვა ქართულ ლიტერატურულ ენაზე. ლიტერატურული
ენა ერთიანი, საერთოეროვნული ენაა. იგი შემკრები და გამაერთიანებე-
ლია ყველა ქართველი ტომისა, ყველა კუთხის მოსახლეობისა. ეს არის
არსებითი დანიშნულება და მნიშვნელობა ლიტერატურული ენისა. მაგ-
რამ ლიტერატურული ენა ორგვარია: წიგნურ-ლიტერატურული და სასა-
უბრო-ლიტერატურული. საუბრის დროს მოსაუბრისა და მსმენელის
პირისპირ შეხვედრისას ინტონაცია (ხმის აწევ-დაწევა), შესტიკულაცია
და მიმიკა, სასაუბრო თემის ნაცნობობა და გარემოცვა შესაძლებელს
ხდის, რომ მეტყველება იყოს ეკონომიური, სახელდობრ, შეიძლება სი-
ტყვათა გამოტოვება, წინადადებათა შეკვეცა და სხვა. მაგრამ წერის დროს
მწერალს ყოველთვის მხედველობაში ჰყავს მკითხველი და ცდილობს აზ-
რი ნათლად და მკაფიოდ გამოხატოს, ენა ექსპრესიული იყოს, მკითხველ-
ზე ზეგავლენა მოახდინოს. აქ ინტონაცია, შესტიკულაცია და მიმიკა, აგ-
რეთვე სხვა გარეგანი საშუალებები გამორიცხულია, ამიტომ მწერალი
ვალდებულია სასაუბრო ენის თანხლები ხარვეზები ამოავსოს სიტყვე-
ბით, სიტყვათა წყობით, წინადადებათა ტიპების შეცვლით, საუბრის სი-
ტუაციის აღწერით. ეს კიდევ, თავის მხრივ, ზოგჯერ ქმნის მწერლის თა-
ვისებურ სტილს. ცნობილია, რომ ყოველ ჟანრს თავისი ფორმა აქვს.
სათანადო ფორმის გარეშე მხატვრული ნაწარმოები ვერ მიიღება. ამ ფორ-
მას წარმოქმნის იდეა, შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურა, სტილის-
ტიკა, მხატვრული ლიტერატურის დამახასიათებელი ელემენტები და
სხვა.

საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართული ენის აღნაგობა, მისი

გრამატიკული წყობა და საშუალებანი, მაგრამ სტილისტიკა შესწავლის პროცესშია. ჯერ კიდევ დასადგენია სტილისტიკის საგანი და საზღვრები.

მოუხედავად ამისა, ლიტერატურული ენა გარკვეულ ნორმებს, წესებს ექვემდებარება. ეს წესები გამოვლენილი და დადგენილია ენის განვითარების ისტორიით. მაგ., როცა წერენ: „ეშინოდათ გამოცემა“ არაა სწორი ქართული, მეტიც შეიძლება ითქვას: შეცდომაა. „ეშინია“, „ეშინოდა“ ვნებითი გვარის ზმნაა და შეიწყობს სახელს ნათესაობით ბრუნვაში; ძველი ქართულით ითქმოდა: „ეშინის ერისა“, ახალი ქართულით კი ითქმის: „ეშინია კაცისა, მგლისა“; მასასადამე, უნდა იყოს „ეშინოდათ გამოცემისა“.

შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ლექსი ყველაფერს აიტანს, თუ იგი უღერადია, რიტმი მწყობრია, რითმა მოხდენილია, სიტყვები და გამოთქმები მხატვრულ სახეს ქმნის, იდეურადაც მისაღებია და, როგორც ამბობენ, თანამედროვეობას ეხმაურება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ლექსი ვერ აიტანს, თუ მნიშვნელობა, შინაარსი ყოველი გამოთქმისა, ყოველი წინადადებისა არაა ბუნებრივი, ნათელი, გასაგები...

ცდა, რომ მცდარი გზით შექმნან ახალი სიტყვა, ახალი გამოთქმა, ამაოა. ასეთი „ახალი“ გამოთქმა ფეხს ვერ მოიკიდებს, იგი ლექსთან ერთად მოკვდება. საჭიროა დიდი სიფრთხილე, სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის ცოდნა, რომ ახალი სიტყვა თუ გამოთქმა წარმოიქმნას და თავის ადგილას „ჩაჯდეს“, ენაში დამკვიდრდეს.

ისიც შეცდომაა, როცა რითმისათვის ახალ სიტყვებს ქმნიან უწესოდ, უმართებულოდ, ხელოვნურად და ამას ენის ლექსიკის გამდიდრებას უწოდებენ უწინარეს ყოვლისა თვით მთხზველები. აბა, რა ქართული სიტყვაა: „სიკვდილის ცელის შემოტივილი“ (შერთმულია სიტყვასთან ტკივილით), „ხუთი აკვნის მარწებელი“ (ნაცვლად სიტყვისა მრეწველი, მაგრამ შერთმულია საწებელი), ასევე: ნიავე სამინდორული, ნამოგონარი, ცნაური, სახნაური და სხვ.

ამისი მსგავსი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება. უდავოდ მართალია კ. გამსახურდია, როცა მკაცრად შენიშნავს და მოითხოვს: „როგორ შეიძლება მწერალმა ენა არ იცოდეს და მის ენას რედაქციაში ასწორებდნენ... ენის ცოდნა აუცილებელია“ (ტ. VII, გვ. 497).

საჭიროა ქართული ლიტერატურული ენის ღრმად შესწავლა, მისი აღნაგობის ცოდნა, ნორმებისა და ლექსიკის დაუფლება, სიტყვაწარმოების წესების ჯეროვნად გაცნობა და გამოყენება, თუ გვინდა აზრი ნათლად გამოვთქვათ, ნაწარმოები მხატვრული გამოვიდეს და ენაც არ დავამახინჯოთ.